№2512 2014 წლის 26 დეკემბერი ქ. თბილისი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი რაგბის კლუბი ,,თბილისისათვის“ უძრავი ქონების უსასყიდლო აღნაგობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

1. ,,სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, რომ ა(ა)იპ „რაგბის კლუბ „თბილისს“ (ს/კ №202453834) უსასყიდლო აღნაგობის უფლებით, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 25 (ოცდახუთი) წლის ვადით, გადასცეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილზე მდებარე 21840 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.14.06.007.071).

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქონების უსასყიდლო აღნაგობის უფლებით გადაცემის პირობებად განისაზღვროს, პირადად ან/და მესამე პირის მეშვეობით, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი)წლის ვადაში:

ა) სტანდარტული რაგბის მოედნის (ზომით 110მ X 70მ) და ტრიბუნის (არანაკლებ 500 მაყურებელზე), ასევე, არასტანდარტული ზომის რაგბის მოედნის (ზომა 60მX40მ) და კალათბურთის მოედნის (ზომით 22მX16მ) მოწყობა;

ბ) ღია საცურაო აუზის (ზომით 30მX 20მ) მოწყობა;

გ) შენობა-ნაგებობის აშენება (სადაც განთავსებული იქნება ადმინისტრაციის, თეორიული მეცადინეობის და სამედიცინო მომსახურების ოთახები);

დ) ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების ტერიტორიის კეთილმოწყობა;

ე) ამ პუნქტის „ა“-,,დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მიზნით, არანაკლებ 2 500 000 (ორი მილიონ ხუთასი ათასი) ლარის სამუშაოების განხორციელება.

3. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**